

კ @ ვკაზნია

გენდერულ ჟურნალისტთა საერთაშორისო კოალიცია

საერთაშორისო
საინფორმაციო-ანალიტიკური
ელექტრონული ჟურნალი
გამოცემის წელი – მესამე
2007, №9, სექტემბერი

ნომრის თემა: დედაქალაქები და პროვინციები

სარჩევი

უკრაინა	შანსი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეისათვის ევროსასამართლოში გენდერული ბალანსის გამოსასწორებლად
საქართველო	შერწყმა უკუღმა ცხოვრება სოფელშიც და ქალაქშიც ერთნაირად ძნელია
ყაზახეთი	პროვინციელები პოლიტიკაში ისინი მუდამ გარიყულები არიან, თუმცა დედაქალაქში მუშაობენ
აზერბაიჯანი	დიდი ოჯახების პატარა მონები ბავშვის შრომა შენებასა და ცხოვრებაში ეხმარებათ
საქართველო	კაპიტალიზმი ადამიანის სახით იგი ოლიგარქმა მშობლიურ რაიონში ააშენა
უზბეკეთი	პატარა თერმეზი ცოტა ხნით გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე აღმოჩნდა
საქართველო	შავ-თეთრი ცხოვრება კაშკაშა პეიზაჟის ფონზე
სომხეთი	მმართველობა – რისკი ქალის ღირსებისათვის სამაგიეროდ, ხელზე ვაჭრობა – მისწრებაა
ყირგიზეთი	აულის საუკეთესო ვაჟი, როგორც დიაგნოზი მომავალი ოჯახური ცხოვრებისათვის
რუსეთი	დედაქალაქელობის კომპლექსი საკუთარი ცხვირის იქით გახედვის საშუალებას არ იძლევა
დანია	აქაური მამები დატაცებაზეა ჩვენი კორესპონდენტის შეფასებები კოპენჰაგენიდან
საქართველო	მწვავე ეროვნული ლოთობა ღვინის ქვეყანაში ყველა როდი ამჩნევს ამ პრობლემას



ფოტო დიანა პეტრიაშვილისა

რამდენიმე წლის წინ საქართველოს ხელისუფლებამ საკმაოდ ამბიციური განცხადება გააკეთა - იმის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყანაში ცხოვრება მეტისმეტადაა კონცენტრირებული დედაქალაქში, და რომ დროა იგი თანაბრად გადაწილდეს ყველა რეგიონსა და პროვინციაზე. ანუ, ქვეყანაში დეცენტრალიზაცია გატარდეს.

დაგეგმილი იყო პროცესი სიდიდით მეორე ქალაქიდან - ქუთაისიდან დაეწყოთ და დასაწყისისთვის იქ საკონსტიტუციო სასამართლო და ეროვნული ბანკი გადაეტანათ. ქუთაისის მაშინდელი მერი ძალზე შეფიქრიანდა, როცა მე ინტერვიუს დროს კომენტარი ვთხოვე ამ სამთავრობო გეგმაზე: - იქნებ მაჩვენოთ ეს დოკუმენტი? თორემ არც კი ვიცი, რაზე გაგაკეთო კომენტარი... სამაგიეროდ საკუთარი მოსაზრებები სიამოვნებით გაგვიზიარეს ჩვეულებრივმა ქუთაისლებმა - გაზეთის გამყიდველმა და სამარშრუტო მიკროავტობუსის მძღოლმა.

- რა თქმა უნდა, - თქვა მძღოლმა, - ყველაფერი გადმოიტანონ, თუ უნდათ, პარლამენტიც!
- ჩვენ რაღაც სოფელი კი არა ვართ, უშუქოდ, უწყლოდ და უფულოდ რომ ვისხდეთ, - თქვა გამყიდველმა, რომელსაც წუთითაც კი არ შეპარვია ეჭვი იმაში, რომ უფულობა და შეფერხებები წყლისა და შუქის მიწოდებაში - სოფლური ცხოვრების უეჭველი ატრიბუტებია. დეცენტრალიზაციის კამპანია მაინც ვერ შედგა: ვერ უშველა ქუთაისს ვერც მოსახლეობის რაოდენობამ (241 ათასზე მეტი მცხოვრები), ვერც სახელოვანმა თანამემამულეებმა (პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე წარმოშობით ქუთაისელია). ყველა სახელმწიფო დაწესებულება ძველებურად თბილისშია. როგორც ჩანს, დეცენტრალიზაციის საკითხი მაინცდამაინც აქტუალურად არ მიიჩნეის. ეს, ერთის მხრივ, მართალიცაა - იმისათვის, რომ პროვინციულ ქალაქში წყლის მიღები შეკეთდეს, სულაც არ არის აუცილებელი იქ დედაქალაქელი ჩინოვნიკების გადაყვანა. ადამიანური ცხოვრების პირობები სომ მხოლოდ მათ არ სჭირდებათ.

დიანა პეტრიაშვილი

ვლადიმერ ხანასი
უკრაინა

აუცილებელია

გენდერული სათვალეები

ევროპელი პარლამენტარებისთვის



ვის აირჩევენ:
მამაკაცს,

რომელსაც ლობირებს პარლამენტი,

თუ

ქალს,

რომელსაც საზოგადოება
გულშემატკივრობს?

ანა იუდკოვსკაია პასუხს მშვიდად,
მაგრამ ინტერესით ელის

დღე-დღეზე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური კომისია განიხილავს ევროსასამართლოს მოსამართლეთა ვაკანტური თანამდებობების პრეტენდენტების საკითხს. განიხილება, აგრეთვე, მასში უკრაინის მუშაობის საკითხიც. ოფიციალურად ჩვენმა ქვეყანამ 3 კანდიდატურა წარადგინა ადამიანის უფლებათა დაცვის მოსამართლეთა თანამდებობაზე. ითვლება, რომ ყველაზე მეტი შანსი უკრაინელ პოლიტიკოსს სერგეი გოლოვატის აქვს. მის დანიშვნას ღიად ლობირებენ ევროპარლამენტის ცალკეული წარმომადგენლები. თუმცა, ეს ხელს არ აძლევს უკრაინის საზოგადოებრიობას. მისმა ლიდერებმა ევროპარლამენტის დეპუტატებს ღია წერილი გაუგზავნეს, სადაც ასაბუთებენ ამ დანიშვნის მიზანშეუწონლობას.

წერილის ტექსტი

უკრაინულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ აქ:
<http://www2.maidan.org.ua/news/index.php3?bn=maidanpetit&key=1189613430&action=view>

ავტორთა აზრით, გოლოვატი რამდენიმე მიზეზის გამო არ შეეფერება ამ თანამდებობას: იგი პოლიტიკურად უპრინციპოა, გენდერულად უგრძობელი, იხრება მმართველობის არადემოკრატიული სტილისაკენ. გარდა ამისა, პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ არჩეულ იქნეს ისეთი ადამიანი, ვინც არც პოლიტიკასთან იქნება დაკავშირებული და არც მმართველობის ორგანოებთან. მეორე კანდიდატურა – სახელმწიფო ჩინოვნიკი ვასილი

მარმაზოვი – თუმცა არც მთლად ასეთი მიუღებელია, მაგრამ სრულ ნდობასაც არ იმსახურებს, მასზე ღიად სიფრთხილით საუბრობენ.

არის მესამე პრეტენდენტიც – იურისტი, ადვოკატი, ცნობილი ეროვნული სამართალდამცველი ანა იუდკოვსკაია, რომელიც ამჟამად ევროსასამართლოს მდივნად მუშაობს. მისი იურიდიული მომზადება და ევროპული სამართლის ცოდნა ეჭვს არავისში იწვევს. უკრაინის საკონკურსო კომისიაში კენჭისყრისას მან 10-დან 9 ხმა მიიღო. შედარებისათვის: ბატონმა გოლოვატიმ მიიღო მხოლოდ 4. ანა იუდკოვსკაიას არჩევა ოდნავ გამოასწორებდა გენდერულ დისბალანსს თვით ევროსასამართლოშიც, სადაც მოსამართლეთა შორის ქალები მხოლოდ 1/3-ს შეადგენენ. ევროსაბჭო და მისი სტრუქტურები თანამდებობაზე დანიშვნისას ძალიან ბევრ გადაწყვეტილებას, მემორანდუმს, პეტიციას, ინსტრუქციასა და სხვ. იღებენ გენდერული თანასწორობის დაცვის თაობაზე. უკრაინის ხელისუფლებასაც სთხოვენ ამ პრინციპების დაცვას. მაგრამ იცავენ კი თვითონ მათ თავიანთი სტრუქტურების დაკომპლექტებისას?

საინფორმაციო სააგენტო „მედია-ინფორმა“ ამ დღეებში საინტერესო კითხვა დასვა: მოისმენენ კი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დეპუტატები ეროვნული საზოგადოებრიობის აზრს? თუ ადამიანის უფლებებზე პოლიტიკის აღმატებულობის დემონსტრირებას მოახდენენ? სავესები შესაძლებელია, რომ ევროპელები უკრაინას კვლავ საკუთარი ადგილისკენ მიუთითებენ. ამიტომაც ჩვენ მოუთმენლად ველით გადაწყვეტილებას. იგი გვიჩვენებს, შენარჩუნებულია თუ არა ევროპულ თანასაზოგადოებაში ორმაგი გენდერული სტანდარტები.

ნინო სუხიაშვილი
საქართველო

პოლუსი ქ და პოლუსი მ

თბილისი, ხაშური და გენდერი: მსგავსება მეტია, ვიდრე განსხვავება

რამდენიმე წლის წინ, როცა მე ის-ის იყო ჟურნალისტიკაში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი, რედაქტორმა სემინარის შესახებ სტატიის დაწერა დამავალა.

„დედაქალაქიდან ჩამოსული სტუმრები ატარებენ, – მითხრა მან, – თემა არ ვიცი, მაგრამ, ალბათ, რაღაც ახალი და საინტერესო იქნება“. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დედაქალაქიდან ჩემს მშობლიურ ქალაქამდე სულ რაღაც 100 კმ-ია, ასეთი სემინარები იშვიათად ტარდება. დედაქალაქელები საზღვარგარეთის ქვეყნებს მეტი ხალისით სტუმრობენ, ვიდრე საქართველოს უდიდეს და ღარიბ პროვინციებს.

ასე მოვხვდი იმ სემინარზე. იგი გენდერულ პრობლემას ეძღვნებოდა. დავწერე პატარა სტატია და რედაქციაში მივიტანე. რედაქტორმა წაიკითხა, კიდევაც შემაქო და მითხრა: „ძალიან კარგია, მაგრამ ერთი შეცდომა გაქვს, ზმირად იმეორებ რაღაც უცნაურ სიტყვას – გენდერს. ასეთი სიტყვა არ არსებობს“. და მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მასალა სოციალურ სქესზე იყო, მამაკაცისა და ქალის თანასწორობასა და და ყველაფერ იმაზე, რაც სემინარზე მოვისმინე და რამაც ჩემი სული შეძრა, – მაინც მომიწია სტატიის გადაკეთებამ, და იგი ამ „უცნაური“ სიტყვის გარეშე დაიბეჭდა.

დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა. ჩემმა რედაქტორმა კარგა ხანია გაიგო, რას ნიშნავს ეს ნეოლოგიზმი, მაგრამ სქესთა თანასწორობის შესახებ თავად საკითხისადმი მიდგომა უცვლელი დარჩა. თბილისში სხვა დონეაო, ზმირად ამბობენ პროვინციებში. და რაღაც შემთხვევებში ეს ასეცაა, მაგრამ რაც შეეხება გენდერულ პრობლემებს, აქ კარგად უნდა დავაკვირდეთ. მაინც, რითია იგი სხვაგვარი? გენდერული ასიმეტრია კარგად იგრძნობა ზოგიერთ პროფესიასა და ცხოვრების განხრამში. ცენტრშიც და პერიფერიაშიც. პედაგოგთა აბსოლუტური უმრავლესობა ჩვენთან ქალია. პოლიციელთა აბსოლუტური უმრავლესობა – მამაკაცი. ქალები ჭარბობენ სამედიცინო, კულტურულ სფეროში, ბიზნესში – მამაკაცები.

ბიზნესი - გენდერულად სპეციფიკური სფეროა. მსხვილში, სადაც დიდი ფული ტრიალებს, ძირითადად მამაკაცები არიან, ხოლო მცირეში, სადაც შემოსავალიც ნაკლებია – ქალები. ეს საერთო სურათია დედაქალაქისთვისაც და რეგიონებისთვისაც. სხვაობა მხოლოდ მასშტაბებშია. როგორც თბილისში, ისე პროვინციებშიც ადგილობრივი ბაზრები ქალებითაა სავსე. ისინი ნებისმიერ ამინდში დგანან იქ, ყოველგვარ წვირილმანს ყიდიან და პურის ფულს შოულობენ. სიღარიბე – მთელი საქართველოს უდიდესი პრობლემაა, მაგრამ მას ქალის სახე აქვს და თან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

იგივეა პოლიტიკაშიც, გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე – სტილი შენარჩუნებულია. როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში ქალებს პრაქტიკულად არა აქვთ საშუალება გავლენა იქონიონ სერიოზულ გადაწყვეტილებებზე. ქვეყნის პარლამენტში 235 დეპუტატიდან 22 ქალია, ხოლო ქალაქ ხაშურის საკრებულოში, სადაც მე ვცხოვრობ, 24 ადგილიდან მხოლოდ 2 ეკუთვნის ქალებს.

ურთიერთდამოკიდებულება – იგივე. საერთო ჯამში, ქვეყანაში თვითმმართველობის ორგანოებში ქალები მხოლოდ 8%-ს შეადგენენ.

გამოდის, ჩვენი საზოგადოება ჯერ ისევ პატრიარქალურია. მიუხედავად გლობალიზაციისა, დემოკრატიზაციისა და ათობით ხელმოწერილი საერთაშორისო დოკუმენტისა. მამაკაცები ფლობენ ქონებას, უჭირავთ პასუხსაგები თანამდებობები, ისინი აწყობენ, იგებენ და აგებენ არჩევნებს... ლაპარაკობენ ჩვენი სახელით საერთაშორისო დონეზე და ჩვენს ნაცვლად იღებენ გადაწყვეტილებას ქვეყნის შიგნით. ისინი და მხოლოდ ისინი არიან - ოჯახისა და ქალაქის, დედაქალაქისა და რეგიონების და მთელი სახელმწიფოს თავები.

მაგრამ მაინც ჩვენი პროვინციელი გოგონები დედაქალაქზე ოცნებობენ, როგორც ჩეხოვისეული სამი და – მოსკოვზე. დედაქალაქში ყოფა-ცხოვრებაც უფრო იოლია, ხალხიც მეტია, გასართობიც. გარდა ამისა, აქ შებოჭილობისგანაც თავისუფლდები – შეგიძლია უფრო თავისუფლად ჩაიცივა, ყველას დასანახად მოსწიო, ვაჟებთან დაამყარო ურთიერთობა. კიდევ ძალიან უნდათ საკუთარი მანქანის საჭე ატრიალონ, მაგრამ ეს ფულზეა დამოკიდებული და არა ადვილზე. მეორე მხრივ, ამ ფულის შოვნა დედაქალაქში უფრო იოლია, ვიდრე რაიონში. თბილისი კარგი თავშესაფარია მარტოხელა დედებისათვის.

პროვინციებში ცხოვრება მათ მიმართ უფრო უღმობელია მატერიალურადაც და ფსიქოლოგიურადაც. განსაკუთრებით, როცა ოჯახებმა თქვეს მათზე უარი სამარცხვინო „დანაშაულის“ შემდეგ. დედაქალაქში პროვინციელი გოგონები ჩუმად იკეთებენ ამორტებს, რათა ნაცნობების თვალში ქალწულებად დარჩნენ. მაგრამ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქალის უმნიშვნელოვანეს ღირსებად და მის აბსოლუტურ პრიორიტეტად კარგი ოჯახი რჩება. მამაკაცის უმნიშვნელოვანეს ღირსებად კი... მათ ყოველთვის აქვთ არჩევანი.



დედაქალაქში თუ პროვინციაში – ზმირად საკუთარ პრობლემებთან მარტო რჩები ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა

სვეტლანა ბეისოვა
ყაზახეთი

როგორ შევხვდავთ

გ ა ნ ა პ ი რ ა ს

ქალთა სექტორი პოლიტიკაში – ღრმა პერიფერიაა



ავტორის არქივიდან

გვაქვს ოჯახისა და გენდერული თანასწორობის საქმეთა კომისია პრეზიდენტთან.

ჩვენთან მიიღეს გენდერული თანასწორობის სტრატეგია 2016 წლამდე.

ჩვენში სრული სვლით მიდის კანონშემოქმედებითი მუშაობა იმისათვის, რომ ქვეყანაში დემოკრატია განვითარდეს.

მაგრამ – ამ ორგანოს არა აქვს ბიუჯეტი.

მაგრამ – მის განსახორციელებლად არ გამოიყვეს ფინანსები.

მაგრამ – კანონი თანაბარი უფლებებისა და თანაბარი შესაძლებლობების შესახებ მუდამ უკანა პლანზეა და მისი რიგი არასოდეს დგება.

ავვისტოში ჩვენთან ჩატარდა ადგილობრივი მმართველობის არჩევნები. მე (და არა მარტო მე) ბევრი პესიმიზმი მქონდა ყაზახეთის მთავრობისა და პრეზიდენტის მიერ ყოველგვარი რეფერენდუმის გარეშე გამოცხადებული ჩვენი მოულოდნელ-ვადამდელო-ორმაგი არჩევნების პატიოსნების თაობაზე. იდეები და გეგმები, რომლებსაც ჩვენ შემოდგომისათვის ვინახავდით, როცა მასლიხიტის მორიგი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო, გადაიხაზა. იმიტომ, რომ არჩევნები 18 აგვისტოს დანიშნეს.

შესაბამისად, განწყობაც შესაფერი იყო. მშვენივრად ჩანდა, ვინ და როგორ გაიმარჯვებდა ამ არჩევნებში. მაგრამ ჩვენ მაინც შევეცადეთ იმის მაქსიმუმი გაგვეკეთებინა, რასაც ვგეგმავდით. თუმცა ვხედავდით, ქალთა პოლიტიკურმა მონაწილეობამ – იმან, რაზედაც მთელ ჩვენს ენერჯიას ვხარჯავდით, აქტუალობა დაკარგა. იმიტომ, რომ შანსები აღარ დარჩა. ცვლილებამ კანონში არჩევნების შესახებ გააქარწყლა ქალთა ლიდერობის სკოლების ქსელის მთელი მუშაობა, რასაც ჩვენ ვაწარმოებდით. შედეგად, სკოლის მიერ მომზადებულ ქალთა დიდი რაოდენობიდან, რომლებიც ჩვენი ორგანიზაციის – ტარახის საინიციატივო ცენტრის ბაზაზე მუშაობდა, მხოლოდ ერთმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, როგორც ქალაქის მასლიხიტის კანდიდატ-


მა და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მას მცირე ბიზნესი აქვს და შესძლო თავისი სარეგისტრაციო საწევროს გადახდა. დანარჩენებისათვის ფული ჩვენ ვერ ვიშოვეთ. საერთოდ, პოლიტიკური ლიდერობის სკოლის მუშაობა ორმაგ გრძნობას მიტოვებს. ერთის მხრივ, დარწმუნებული ვარ, რომ ცოდნა, რომელსაც ქალებს ვაძლევთ, საჭიროა. მეორეს მხრივ, ეს ცოდნა საარჩევნო პრაქტიკას ვერ უძლებს და ეს მშვენივრად გამოჩნდა 18 აგვისტოს არჩევნებზე. რა ზეგავლენას მოახდენენ ეს წესები იმ ადმინისტრაციულ რესურსზე, რომელსაც ჩვენი მოწინააღმდეგეები ფლობენ? როგორ გავხედოთ ლიდერი და რა პოლიტტექნოლოგიებია საჭირო – ამის ცოდნა აუცილებელია. მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, როგორ მოვიქცეთ პროცედურული თვალსაზრისით, ვიცოდეთ ყველა წესი, ბრძანება, დადგენილება, რომლებიც არჩევნების წინ იჩეკება ნაწვიმარზე ამოსული სოკობივით და ხშირად არც თუ ისე აფიშირებულია. დასკვნა, რომელიც ჩვენი აგვისტოს არჩევნების შემდეგ შეიძლება გავაკეთოთ, ძალზე სავალალოა: დამოუკიდებელი ქალური პოლიტიკური ლიდერობისათვის ადგილი აღარ დარჩა. ჩვენ მხოლოდ ერთი გზა დაგვიტოვეს – პოლიტიკური პარტიების, უფრო სწორად, ჩვენს სინამდვილეში, ერთი პარტიის – ნურ-ოთანის, ხელისუფლების პარტიის. ჩვენთან უკვე პარლამენტიც კი ერთპარტიულია და რაღა უნდა ვთქვათ ადგილობრივ ხელისუფლებაზე. ნურ-ოთანის წევრთა უმრავლესობა, რომლებსაც პოლიტიკური თანამდებობები უჭირავთ – ყოფილი საბჭოთა პარტოკრატები. მათთან ძალიან ძნელია თანამშრომლობა, ისინი ყველაში ოპოზიციას ხედავენ და მათთან სამუშაოდ ან საერთოდ უხერხემლო უნდა იყო, ან დიდი თვალთმაქცი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დღეს ყაზახეთში მოქმედი ყველა პარტია (მათ შორის ნურ-ოთანიც) საერთოდ ვერ ხედავენ გენდერულ პრობლემებს. როგორ მოვიქცეთ? დეპრესიაში ჩავეარდეთ? ეს ძალიან იოლია. მაგრამ არ გამოგვადგება. ჩვენ გვესმის, რომ მაინც უნდა ვეძებოთ გზები, რათა ქალები პოლიტიკური განაპირების ვითარებიდან ცენტრალურ პოზიციებზე გამოვიყვანოთ.

სხვათა შორის, ყაზახეთიდან

ამ შეფასების – „შეუფერებელი დონე!“ – აღნიშვნა 2003 წლიდან დავიწყე. ალბათ, იმიტომ, რომ რამდენჯერმე ჩემი მისამართით ითქვა. ამ შეფასების ქვეშ ხვდებოდა ყველაფერი ადგილობრივი, ლოკალური, კუსტარული, ემოციური, გულწრფელობითა და სხვა უსაქმო ზედმეტობებით დატვირთული. თავისი გამოუყენებლობის და უადგილობის შედეგად ქალთა ორგანიზაციების მთელი „შეუფერებელი დონე“ შეუმჩნევლად გაიწოვა. ილფისა და პეტროვის სიტყვებით რომ ვთქვათ, სახლმმართველობად გადაკეთდა. ასე რომ, დონკიხოტობა დიდხანს ვერ იბოგინებს – უბრალოდ, ვერავინ იბრძოლებს პოლიტიკაში თავისი რჩეული ქალბატონის – გენდერული შემადგენლისათვის... კარგად არც პოლიტიკური ლიდერობის სკოლების როლი მესმის. როგორც საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი, ლიდერობა და პოლიტტექნოლოგიები კი არ უნდა ასწავლო. ერთიც და მეორეც მხოლოდ ხბოა მუხასთან – ადმინისტრაციულ რესურსთან შედარებით. უნდა ვასწავლოთ პროცედურული კაზუსტიკა, რომელიც ამ ადმინისტრაციული რესურსების ღერძს წამოადგენს. „არჩევნების შესახებ“ კანონის მუხლების ცოდნა არაფერს ნიშნავს. მისი შინაარსის ძირითადი ნაწილი ჩარჩოს ხასიათს ატარებს. მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ინსტრუქციები, დადგენილებები, წესები და ა.შ. მათი ხელში ჩაგდება პრობლემაა, ასევე კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნისას მათში გარკვევა და ურთიერთდაკავშირება. ასე რომ, ხომ არ იქცევა პოლიტიკური ლიდერობის სკოლები ბუფტორიად? იმიტომ, რომ ნაკლებად სავარაუდოა, ქალთა პოლიტიკური ლიდერობის ხაზით ყაზახი ტრენერებიდან ვინმეს ხელი მიუწვდებოდეს ან ერკვეოდეს ჩამოთვლილ დოკუმენტებში.

ირინა უნჟაკოვა,
ქალთა ფედერაცია „Status“-ის ლიდერი
უსტ-კამენოვორსკი
ყაზახეთი

კ@კვაზიისგან:



ირინა უნჟაკოვამ თავისი კანდიდატურა 18 აგვისტოს არჩევნებზე წამოაყენა და დამარცხდა. მიუხედავად ამისა, მისმა სოციალურმა ექსპერტიზებმა ბრწყინვალედ ჩაიარა, თუ მას განვიხილავთ, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატის წინააღმდეგობათა ანალიზს. თავისი „კანდიდატობის“ დღეებში ირინა დღიურებს წერდა, რომელიც გამოქვეყნდება საერთაშორისო ჟურნალში „დიალოგ ენშინი“. მისი გამოსვლის შესახებ კავკაზია დამატებით გაცნობებთ.

ფოტო ქალთა ფედერაცია „სტატუსის“ არქივიდან

აზერბაიჯანი

დავარქვით თავისი სახელი – ექსპლოატაცია

ბავშვები პროვინციაში

უარესად იკვებებიან,

უფრო ხშირად განიცდიან ექსპლოატაციას

და ნაკლებად მიუწვდებით ხელი განათლებაზე



ფოტო უმიდა ახმედოვასი

ჩვენს სიღრმეებში ბევრ მშობელს გულწრფელად სჯერა, რომ ბავშვისთვის ცხოვრებაში გაცილებით მნიშვნელოვანია რაც შეიძლება ადრე აითვისოს ესა თუ ის პროფესია, ვიდრე წლობით იმტვირთოს თავი სახელმძღვანელოებზე. ამ პოზიციის არსებობაში დამნაშავეა სასკოლო განათლების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობების არქონა. არცთუ იშვიათად სკოლები რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული ბავშვის საცხოვრებელ ადგილს, უბრალოდ, დიდ პრობლემას წარმოადგენს იქამდე მისვლა. მაგრამ თუ სკოლა ახლოსაა, ეს არ ნიშნავს, რომ ოჯახში განათლებას ისე განიხილავენ, როგორც პრიორიტეტს. სოფლის ბევრი მაცხოვრებლისათვის დღეს ბავშვის სკოლაში გაშვება დაუშვებელი ფუფუნებაა. იმის მიუხედავად, რომ საშუალო განათლება უფასოა, ბავშვებს მოუწევთ სასკოლო ნივთების, ტანსაცმლის ყიდვა, ასევე – სკოლის რემონტისათვის ფულის გადახდა. გარდა ამისა, თუ ბავშვი სკოლაში დადის, დაკარგული შემოსავლის გამო ოჯახი ზარალდება, რადგან ამ პერიოდის მანძილზე იგი ვერავითარ სარგებლობას ვერ მოიტანს. ამიტომაც ხშირად გაივლინებთ აზრს, რომ ბავშვისთვის ისიც კმარა, წერა-კითხვა რომ

ისწავლა – აკადემიკოსი მაინც ვერასოდეს გახდებოდა. დიდი ოჯახის შვილები უფრო ხშირად და უფრო მეტს მუშაობენ, ვიდრე მცირერიცხოვანისა, რადგან მშობლების შემოსავალი, ჩვეულებრივ, საკმარისი არ არის. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, 2005-2006 წლებში ბამბის მომყვანი რაიონებიდან 12-14 წლის ბავშვების 30-40% ჩაბმულია ბამბის მოყვანისა და ალების პროცესში. ბავშვთა შრომის გამოყენება ხელს უშლის სკოლაში სიარულს, აზიანებს ჯანმრთელობას. სოფლის მეურნეობაში ბავშვთა შრომის გამოყენების ძირითად მიზეზს წარმოადგენს სიღარიბე, განათლების დაბალი დონე და კადრების უკმარისობა. ყველაფერი ეს ჩვენთან არის, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ბავშვთა ექსპლოატაციასთან ბრძოლა შეუძლებელია. მის აღმოსაფხვრელად პრობლემა ეროვნული პოლიტიკის პრიორიტეტებად უნდა იქცეს. ამისათვის კი იგი უნდა შეიგნო და დასაწყისისათვის თავისი სახელი უწოდო.

ე. მალახოვა,
გაზეთ „ზერკალოს“ კორესპონდენტი
ბაქო

პოლინა მილორადოვიჩი
საქართველო

ასეც ხდება

ქველმოქმედების დედაქალაქი

გ ა მ რ ჩ ე ნ ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი

არის ჩვენთან, საქართველოში, საჩხერის რაიონი. შესაბამისად, მისი ცენტრი - პატარა ქალაქი საჩხერე. მყუდრო, ნათელფერებიანი, ულამაზესი მთებით გარშემორტყმული. იცით, ვისი სახელი ისმის აქ ყველაზე ხშირად? ბიძინა ივანიშვილის. ვსმენიათ მის შესახებ? არა მგონია, თუმცა იგი მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია. ამბობენ, თითქოს ყველაზე მდიდართა ათეულშიც კი შედისო, მაგრამ საქმე ამაში როდია.

ადგილობრივი მოსახლეობა ბატონ ივანიშვილს უბრალოდ სახელით იხსენებს. ბიძინამ ააშენა, ბიძინამ გადაიხადა, გაარემონტა, აჩუქა.. მრავალ საკვირველებას ყვებიან. აქ ძალიან კარგად აღჭურვილი და საუკეთესო კადრებით დაკომპლექტებული საავადმყოფოა. ასეთი დედაქალაქში ორიოდე თუ იქნება. ეს აღჭურვილობის მხრივ. ჰუმანურობით კი – ეს უნიკალური სამედიცინო დაწესებულებაა მთელ საქართველოში, იმიტომ რომ – სავსებით უფასოა. ყველა მომსახურება – უბრალო გასინჯვიდან რთულ ოპერაციამდე პაციენტისათვის უფასოა. გასაგებია, რომ ეს საავადმყოფო და პოლიკლინიკა მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობას ემსახურება.



მოყვარული ცოლი ბოლომდე მიიყვანს კარგი ექიმის დაწესებულ საქმეს

ავტორის ფოტო

და ეს მხოლოდ ერთია საჩხერის ჰუმანიტარულ პროექტთან. იგი თითქოს ადგილობრივი სამედიცინო უზრუნველყოფის სისტემის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. თუ აქაურ მცხოვრებს დედაქალაქში მკურნალობა ესაჭიროება – „ბიძინა იხდის“, როგორც ადგილობრივები ამბობენ. იგი იმათი სამედიცინო დაზღვევის ფულსაც იხდის, ვინც საზღვარგარეთ მიემგზავრება. „ბიძინა უხდის“ ყოველთვიურად თითოეულ ოჯახს მოხმარებული გარკვეული რაოდენობის გაზისა და ელექტროენერჯის საფასურს (ზუსტად არ მახსოვს, რამდენს, მაგრამ საშუალო მოხმარებისათვის საკმარისს). პედაგოგებს უხდის ხელფასის დანამატს, რომელიც რამდენჯერმე აღემატება თავად ხელფასს. აშენებს გზებს. ცვლის სახურავებს. ცდილობს შეღავათიანი დაკრედიტების შემოღებას, რათა საჩხერელებმა არა მარტო საჩუქრების მიღება ისწავლონ, არამედ თავადაც გამოიძუშონ.

ამბობენ, რომ კრედიტის შეღავათიანობა შემდეგში გამოიხატება: თუ ადამიანი საკუთარ ბიზნესს ააწყობს, მას ვალს აპატიებენ, ხოლო თუ ფულს ქარს გაატანს – სრულად მოუწევს დაბრუნება. ბიძინა არა მარტივად იხდის, აღმზრდელით მუშაობასაც ეწევა.

ამასთან ვერსად ნახავთ რაიმე წარწერას ან მინიშნებას, რომ ეს გზა ამა თუ იმ პიროვნების სახსრებით შენდება. ან საავადმყოფოს ესა და ეს პიროვნება ინახავს. ან, ღმერთმა არ ქნას, სადმე თავად ბიძინას პორტრეტი ეკიდოს. და – არავითარი ინტერვიუები პრესისა და ტელევიზიისათვის. საჩხერეშიც კი უძრავლესობამ არც კი იცის, როგორ გამოიყურება მათი კეთილისმყოფელი.

ყვებიან რომ ივანიშვილი საჩხერელი პენსიონერებისათვის 200 ლარიანი პენსიის დანიშვნას აპირებდა და გახარებული მოხუცები მოთმენლად ელოდნენ ამ დღეს, მაგრამ ოლიგარქთან თურმე ქვეყნის პრეზიდენტი ჩაფრინდა და დაბეჯითებით სთხოვა, ეს არ გაეკეტებინა. რადგან მაშინ პრეზიდენტს ძალიან გაუჭირდებოდა აქნსა ეს ქვეყნის სხვა პენსიონერებისათვის...

ამბობენ, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას არ უყვარს ბიძინა და მისი ეშინია.

იმასაც ამბობენ, რომ მშობლიურ სოფელში ბიძინა განსაკუთრებით ახალდაქორწინებულებს უწყობს ხელს, ქორწილებზე მათ ახალ სასწრაფსა და ახალი „ნივის“ გასაღებებს ჩუქნის.

ყვებიან, რომ ბიძინას სულ მცირე სიკეთეც კი არ დავიწყებია თავისი ღარიბი ბავშვობიდან. ყველა, ვისაც კი ოდესმე რაიმე კარგი გაუკეთებია მისთვის ან მისი ახლობლებისათვის, გულუხვად დაასაჩუქრა.

კიდევ ამბობენ, რომ თვითონ უმეტეს დროს ოჯახთან ერთად თავის სოფელში ატარებს. ორიოდ წლის წინ მისმა ცოლმა მეოთხე შეიღო სწორედ აქ, ამ საავადმყოფოს მესამე სართულზე გააჩინა, სადაც სამშობიარო განყოფილებაა მოწყობილი. ცოლი ის არის, ვისზედაც ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში იქორწინა.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე არ არის, როგორც სხვა ოლიგარქებთან. უამრავ ამბავს ყვებიან. საკმარისია, ფეხი შედგა საჩხერის მიწაზე, რომ ისტორიები პირდაპირ ციდან ცვივა. უსმენ და გსიამოვნებს – რა კონკრეტული ბიჭია ეს ბიძინა! ნამდვილი. და პრინციპში, გასაგებიცაა, რატომ აკეთებს ამას. გამოიყვანო მშობელი ხალხი უიმედობიდან, დაეხმარო მათ არა მოწყალეობით, არამედ ძლიერად, მეფურად – ეს ხომ ნორმალური ადამიანისათვის ბედნიერებაა. არ შეაფიქრანა ადამიანი მისმა ნორმალურობამ – არც ფულმა, არც შესაძლებლობამ, არც შრომამ, არც სხვისმა შურმა. ასეც ხომ ხდება. იშვიათად, მაგრამ ხდება.

საჩხერეში ჩამოსული სხვა კუთხის მცხოვრებლები გაოგნებულები არიან სოციალური ზრუნვის იმ დონითა და მოცულობით, რაც ადგილობრივ მოსახლეობას აქვს. სხვა კუთხელებს ძალიან უნდათ დაიჯერონ, რომ ოდესმე ბატონი ივანიშვილი გადაწყვეტს გასცდეს საჩხერეს. მისი პატრიოტიზმი და ჩვენი საყოველთაო საპასუხო სიყვარული. ეჰ, აი მაშინ წავიდოდით წინ! მაგრამ ამბობენ, რომ ბიძინა კატეგორიულად უარყოფს წინადადებას მონაწილეობა მიიღოს საპრეზიდენტო არჩევნებში. იქნებ, ჯერ უარყოფს?

ოცნებას ხომ არავინ გვიშლის. ჰუმანური ხელისუფლება გლეხებსაც ჭირდებათ, ყურნალისტებსაც, სოფელშიც და ქალაქშიც.



რომ არა მდიდარი თანამემამულის ქველმოქმედება, ამ ბებოს შორეული სოფლიდან ჩვენს ჯანდაცვაში არავითარი შანსი არ ექნებოდა ავტორის ფოტო

ნურჟან ტულეგაბილოვა
ყირგიზეთი

ფიქრები ხმამაღლა

რატომ უნდა ვიყო უკანასკნელი ქალაქში, როცა შემიძლია პირველი ვიყო სოფლად?



„პირველი ბიჭი სოფელში“ – მხოლოდ წლების შემდეგ ხვდება ზოგიერთი, რომ სინამდვილეში ეს დიაგნოზი იყო ფოტო უმიდა ახმედოვასი

ქალაქში დაბადებულ-გაზრდილს ყოველთვის მინტერესებდა სოფელი. განსაკუთრებით შორეული რაიონებიდან ქალაქში ჩამოსული გოგონები და ვაჟები. გასაგებია, რომ განსხვავება ქალაქელებსა და სოფლელებს შორის არა მარტო გარეგნულია, არამედ ღრმად პირადული. ეს განსხვავება სხვადასხვაგვარია, მაგრამ ახლა მე მათ გენდერულ ასპექტში განვიხილავ. სტუდენტებთან მუშაობისას, რომელთა შორის სოფლელებიც არიან და ქალაქელებიც, ვხედავ, რით განსხვავდება მათი შეხედულებები, როგორ ხდება მათი ტრანსფორმირება გენდერულ პრობლემებთან მიმართებაში. კიდევ უფრო საინტერესოა, როგორ იცვლება ეს შეხედულებები.

– **როცა გათხოვდები,** ცალკე ვიცხოვრებ. არ მინდა ჩვენს ოჯახურ საქმეებში დედამთილი ჩაერიოს. და საერთოდ, შევეცდებით იშვიათად შევხვდეთ ქმრის ნათესავებს. ასე უფრო საიმედოდ დავიცავთ ოჯახს. თუ ქმარს ვუყვარვარ, ასე უნდა მოიქცეს. იგი ამის გამო ქალაქში არ იქნება, არამედ კარგი მეოჯახე. ე.ი. არ ენდომება, რომ დედამთილმა დამხაროს. თუ უნდათ, სოფლებში მოითმინონ, თუ ძალიან მოსწონთ, იქ ეს მიღებულია.. საწყენია, რომ სოფელი გოგონები ქალაქურ ჩვევებს ანგრევენ თავისი მორჩილებით. ისინი მზად არიან გათხოვებას მსხვერპლად შეეწირონ. იმიტომ, რომ ბავშვობიდან აჩვევენ იმას, რომ ადრე უნდა გათხოვდნენ, სანამ კარგი „სასაქონლო“ იერი აქვთ და ქმარს უნდა დაემორჩილონ, რომ არ მიატოვოს. ასეთების მართვა იოლია, მათ ხომ სხვაგვარი ცხოვრება არ უნახავთ. ბევრი ქალაქელი ვაჟი სწორედ ასეთს ირთავს, ბევრი შვილი რომ გაუჩინოს, ზედ გადააჰყვეს მას და მის ნათესავებს. მე ასეთი ცხოვრება არ მინდა. (ალთინაი, 19 წლის, ბიშკეკი)

– **ახლა ძნელია** ნორმალური, კარგი ცოლის პოვნა. ქალაქელები პრეტენზიულები არიან სოფლელები კი... ისინი ქალაქშიც სოფლელებად რჩებიან და ბევრი დრო დაგჭირდება, მათთან ერთად ხალხში გამოჩენის რომ არ შეგვრცხვეს. თუმცა, სახლისათვის, მშობლებისათვის სოფელი ცოლიც ვარგა, მაგრამ საყვარლად ქალაქელი ლამაზმანია საჭირო. (ბაკიტი, 23 წლის, ბიშკეკი)

– **ჩემთვის მთავარი ოჯახია,** ეს კი ქმარი, ბავშვები და ნათესავებია. ქმარი – ჩემი ციხე-სიმაგრეა, სადაც ჩემი ოჯახი წესრიგში იქნება. მთავარია, დედამთილს მოვეწონო, მაშინ ქმართანაც ნორმალური ურთიერთობა იქნება და ოჯახიც – მყარი. ისე კი არა, როგორც ქალაქელ გოგონებს აქვთ: ყოველი მეორე ქორწინება გაყრით მთავრდება. მათთვის ოჯახი მეორეხარისხოვანია, ისე, სახელისათვის. მათ ვაჭირვება არ უნახავთ, მიჩვეულნი არიან მზა-მზარეულზე ცხოვრებას. ამიტომაც ვერ უმკლავდებიან სიძნელებებს. (აიგული, 19 წლის. ტალასის ოლქი)

– **მე ქალაქელს შევირთავ.** ბოლოს და ბოლოს, მოვიტაცებ, თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. ისინი ხომ ჩვენ, ჩამოსულ ბიჭებს არაფრად გვაგადავებენ. საწყენია. რითი ვართ მათზე უარესები? თუმცა, ჩვენ არც იმდენი ფული გვაქვს და ჩვენი მშობლებიც კაბინეტებში ჯდომის ნაცვლად მინდორში შრომობენ. (აკილი, 23 წლის. ნარინის ოლქი)

პატარა გულწრფელი აღიარებები. მაგრამ მათშიც კარგად ივრძნობა, როგორი ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულებაა გოგონებსა და ვაჟებს შორის, ახალგაზრდა სოფლელებსა და ქალაქელებს შორის. და რამდენად შეუძლიათ კონფლიქტებისა და პირადი დრამების გამოწვევა.

გალია იბრაგიმოვა
უზბეკეთი

ადგილი რუკაზე

ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი გადახლართულია:

ტერაქტები, სიყვარული, ტრეფიკინგი და იმედი

თერმეზი უზბეკური ქალაქია ავღანეთის საზღვართან. ცხოვრება მასში, მართალია, უპრობლემოდ არაა, მაგრამ მაინც თანაბარზომიერად მიედინებოდა. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, იგი ააფორიაქა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებმა ამერიკაში. იმ ტრაგიკულ დღეებში თერმეზი, რომელიც ავღანეთის საზღვარზე მდებარეობს, ბევრი დასავლური მასობრივი ინფორმაციის საშუალების თავმჯდომარის ადგილად იქცა. მაშინ იგრძნეს მაცხოვრებლებმა, რას ნიშნავს მსოფლიოსთან ინტეგრაცია.

უზბეკეთმა ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი ანტიტერორისტულ კოალიციას და თერმეზში გერმანული სამხედრო ბაზა განთავსდა. თერმეზელებისათვის ცხოვრებამ უცებ მიიღო დინამიური და ლამაზი ხასიათი. სანამ ერთი ნაწილი ახალ პირობებს ეჩვეოდა, მეორემ სწრაფად მოიაზრა, რომ ფულის გაკეთების უნიკალური საშუალება მიეცა. სტუდენტები უცებ იქცნენ გიდებად და მთარგმნელებად, ბიზნესმენებმა სასწრაფოდ დაიწყეს სასტუმრო კომპლექსებისა და გასართობი დაწესებულებების წესრიგში მოყვანა. უცხოელთა ჩამოსვლის უპირატესობა ახალგაზრდა თერმეზელმა გოგონებმაც იგრძნეს.

პროვინციაში ქალისათვის ყოველთვის უფრო ძნელი იყო სამსახურში მოწყობა, ვიდრე კაცისათვის. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომიც კი არ არის იმის გარანტია, რომ ქალი ნორმალურ სამუშაოს იშოვოს. შემოსავალი შეიძლება მიიღოს მხოლოდ სასტუმროების ბიზნესსა და საზოგადოებრივი კვების სფეროში. ოფიციალური და მდივან-ადმინისტრატორი —

სკოლადამთავრებული პროვინციელი გოგონებისთვის ყველაზე მოღურა და პრესტიჟული პროფესიებია. მაგრამ, ამ მიუხედავად, გაბედნიერების შანსი. ამ შანსს ეწოდა „გერმანელზე გათხოვება!“ გერმანელებს თერმეზში ყველა უცხოელს უწოდებდნენ. როგორ მოსწონდათ ისინი ქალაქელ ქალიშვილებს! ჯერ ერთი, მათ შორის ბევრი მიმზიდველი მამაკაცი იყო, რომლებიც ძალიან განირჩეოდნენ ადგილობრივებისაგან კანისა და თმის ფერით. მეორეს მხრივ, მათ მანერებს ვერავინ დაჩრდილავდა. მესამე კი, მხოლოდ იმედი იმისა, რომ ქალაქიდან, ბოლოს და ბოლოს, წახვიდოდი, ყველაზე შეუხედავებლად კი თეთრ ცხენზე ამხედრებულ უფლისწულებად აქცევდა.

თერმეზი, მიუხედავად ზაფხულის საშინელი სეზონისა და ქვიშის „ავღანელებისა“ (ავღანეთიდან მქროლავი ქარი), გერმანელებს სულ უფრო მეტად მოსწონდათ. მიუხედავად პუნქტებისა შრომით კონტრაქტში, რომლებიც ადგილობრივ ქალებთან სასიყვარულო ურთიერთობების გაბმას კრძალავდა, ცოტამ თუ გაუძლო ამ ცდუნებას. გოგონებიც, რომლებსაც ოკუპირებული ჰქონდათ რესტორნები და ღამის ბარები, ჩვეულების წინააღმდეგ, ძალზე აქტიურები



უფლისწულები გაემგზავრნენ, კონკიები დარჩნენ და პატარა ქალაქში კვლავ მოწყენილობა ჩამოწვა
ფოტო უმიდა ახმედოვასი

იყვენ. უცხოელები მოიხიბლენ ჩვენი ლამაზმანების რელიქტური უბრალოებითა და მორჩილებით. ზოგიერთმა მართლაც დაკარგა თავი და დაოჯახდა. ქალაქის მძაჩის ბიუროებში საერთაშორისო ქორწინებების ტალღამ გადაიარა.

იმის გამო, რომ „გერმანელთა“ შორის ბევრი მართლაც გერმანელი იყო, ბევრი თერმეზელი ქალიშვილი სწორედ იქ გაემგზავრა, მერე კი მეგობრებს სწერდნენ, რა ზღაპრულად ცხოვრობენ ევროპაში. წერდნენ უჩვეულო ყოფაზე, ევროპულ წეს-ჩვეულებებზე, ქმრის სიყვარულზე. მაგრამ არაფერს – საკუთარი გრძნობების შესახებ. მოგონებები თავის პატარა მოუწყობელ სამშობლოზე მათ ნოსტალგიურ გრძნობებს არ აღუძრავდა. თერმეზელი მეგობრები ხშირ-ხშირად კითხულობდნენ

წერილებს და „გერმანელის გამოჭერაზე“ ოცნებობდნენ. ის ფაქტი, რომ ზოგიერთი თერმეზელი უკვლოდ დაიკარგა გერმანიასა და სხვა ქვეყანაში, არავის აშფოთებდა. და დღემდე არავინ იცის, ვის როგორ აეწყო ევროპული ცხოვრება. ყრუ ეჭვი არსებობს, რომ ყველას როდი აქვს ყველაფერი კარგად. მაგრამ როგორ შეამოწმებ? აღმოსავლეთში კარგად ეხერხებათ საკუთარი ტკივილის დამალვა.

... ავღანეთში კამპანიის დასრულების შემდეგ სამხედრო ნაწილებმა დატოვეს უზბეკეთი. თერმეზი დაცარიელდა. უცხოელები თანდათან წავიდნენ და მათთან ერთად კვამლივით გაქრა ოცნებები და მოგონებები.



ამას წინათ სოფელში ვიყავი, ნათესავებთან. აქ ყველაფერი ბავშვობიდან ნაცნობია, ყველა ბილიკი გახსოვს, ყველა ჭადარი ქუჩის გასწვრივ. და აი, სტუმრად ჩამოვედი. საღამოა. თითქოს არაფერი შეცვლილა. ეჭვების წკარუნით ბრუნდება ნახირი, მსუბუქ ნიავს მწიფე ხილის სუნი მოაქვს. ღუმელთან დიასახლისი - ირმა ფუსფუსებს. ოჯახი დიდია, ახლა სტუმრებიც. ყველაფერი უნდა მოასწოროს, თორემ უკვე საქონელი დაბრუნდა და მისახედა. დედის გვერდზე 17 წლის ხათუნაც შრომობს. თანდათან ყველაფერი თავის ადგილზე დგება, ძროხებიც მოიწველა, ქათმებსაც, კარგა ხანია, სძინავთ. და დალილმა ქალებმაც მოიცალეს. ისე ჩამოსხდნენ, საღაპარაკოდ, „ენის მოსაქაველად“, სხვა გასართობი სოფელში მაინც არ არის. ერთადერთი – ტელევიზორია, საინფორმაციო გამოშვება, არაფრისმომცემი სერიალები. ისიც, თუ უცებ შუქს არ გამორთავენ. მახსოვს, ხათუნას ხნის რომ ვიყავი, ყოველ საღამოს სოფლის კლუბში დავდიოდით – ახალი ფილმების სანახავად. მერე მთელი გზა სახლამდე ჯგუფ-ჯგუფად მის გარჩევაში ვიყავით. მხიარულება იყო. არტისტებიც ჩამოდიოდნენ – კონცერტებს და სპექტაკლებს მართავდნენ. კარგი ბიბლიოთეკაც იყო.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი მხოლოდ მოგონებებს შემორჩა. კლუბისა და ბიბლიოთეკის ნაცვლად – ბალახ-მორეული ნანგრევებია. ბიჭები კიდეც რაღაცნაირად ერთობიან – ფეხბურთს თამაშობენ, ამხანაგურ მატჩებს მართავენ. გოგონები? გოგონებს – დალაგება, საქონელი, ჭურჭლის რეცხვა, საპნის ოპერები და საღამოს საუბრები. ბევრია ნიჭიერი და ჭკვიანი, მაგრამ მერე რა! ქალაქში სასწავლებლად ვერ მიდიან – სახსრები არა აქვთ, სწავლა ფასიანია. შემოსავალი კი ოჯახში – ყველს თუ გაყიდი, ან ქათამს, ამით კი შორს ვერ წახვალ. სამუშაო ხომ სოფელში აღარაა – მარტო საკუთარი ბოსტანი და ბოსელი. სამედიცინო ამბულატორიაც კი არ არის. იყო და აღარ არის! თუ ოჯახში ვინმე ავად გახდა, რაიონულ ცენტრში უნდა წახვიდე ექიმისთვისაც და წამლებისთვისაც, ზოგჯერ ავადმყოფიც უნდა წაიყვანო. ცენტრამდე კი 12 კმ-ია. მართალია, დადის ავტობუსი, მაგრამ სულ რამდენიმე რეისი – გზები არ ვარგა. ასე რომ, ჯობია, ავად არ გახდე. ახლა მშობიარობა? სანამ „სასწრაფოში“ დარეკავ და სანამ ექიმები მოვლენ – სამჯერ იმშობიარებ! აი ასე. ბუნებაც მშვენიერია ირგვლივ და მდინარეც აქვეა. ლამაზია, რა თქმა უნდა. და მეტი – არა-ფერი.

ლილიტ ზაქარიანი
სომხეთი

ორმაგი სტანდარტები

ბევრი აიკიდე, შორს წაიღე და არაფერი იკითხო

მმართველობა ხომ ქალის საქმე არ არის

...სოფელ გეტაოვითის ქალები თავს ბედნიერად თვლიან იმიტომ, რომ დღეში ერთი საათით წყალი აქვთ. მეზობელ სოფლებში წყალი საერთოდ არა აქვთ და თითო ვედრის ყიდვა 50 დრამად უხდებათ. წყლიანი ვედრების თრევა უმეტესად ქალებს უწევთ. ბოლო ორი წლის მანძილზე სომხეთის პერიფერიის ყველა კუთხეში მომიწია ყოფნამ და კარგად ვნახე სოფლის ყოფა-ცხოვრება.

ჩვენი მოგზაურობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივ მმართველობაში ქალთა მონაწილეობის გამოკვლევა. სტატისტიკის მიხედვით, ქალების რაოდენობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სომხეთში მათ უზუცესთა საბჭოები ეწოდებათ, ძალზე მცირეა – სულ 6%. კიდევ უფრო ნაკლებია მათი რაოდენობა საკრებულოების ხელმძღვანელებს შორის, ამასთან ქალაქების საკრებულოებს ქალები ახლოსაც ვერ ეკარებებიან და 929-დან მხოლოდ 23 სოფლის საკრებულოს ხელმძღვანელობენ, რაც სულ რაღაც 2,5% შეადგენს.

ამ „ქალთა“ საკრებულოებში ყოფნისას აღმოვაჩინეთ, რომ ქალები, ძირითადად, ხელმძღვანელობენ ცუდად მოწყობილ და ძველთაძველი პრობლემებით სავსე მცირერიცხოვან (1000 კაცამდე) სოფლებს. როგორც ჩანს, სწორედ ამის გამო ამ სოფლების მაცხოვრებლებს გენდერული ცრურწმენა არ გააჩნიათ: ქალი-ხელმძღვანელი მათთვის – ეს წესრიგის დამყარების უკანასკნელი იმედი. ბევრმა გვითხრა, რომ მზად არიან მთელი ოჯახით მისცენ ხმა ქალებს, რადგან „კაცებმა თავი მოაბეზრეს“. აღნიშნავდნენ, რომ ქალს იმიტომ ენდობიან უფრო მეტად, რომ იგი პასუხისმგებლობით უდგება სამუშაოს, უფრო კარგად ესმის ადამიანთა ყოველდღიური საჭიროებები.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ხალხი მასობრივად კეთილგანწყობილია ქალი-ხელმძღვანელების მიმართ. უმრავლესობას გულის სიღრმეში მიაჩნია, რომ ქალის საქმე არ არის სოფლის ხელმძღვანელობა. ბევრი მამაკაცი იმას იმიზეზებდა, რომ „ქალისთვის მუშაობა უფრო ძნელია, რადგან იგი ამას ფიზიკურად ვერ გაუძლებს“. ან ისეთ ვითარებას ასახელებდნენ, რომელშიც ქალისათვის აღმოჩენა სასურველი არ არის. „მაგალითად, ღამის 12 საათზე სასწრაფოდ უნდა ჩაჯდე ავტომობილში და ვიდაცასთან შესახვედრად წავიდეს. მამაკაცისათვის პრობლემა არ არის ღამე წასვლა, გარემო, შესხვედრები, ტრაპეზი, სმა... ამ საქმეში ხომ ფორმალურის გარდა ბევრი ჩრდილოვანი, კულტურული მხარეცაა... და რაც მამაკაცებისათვის ნებადართულია, დაუშვებელია ქალისათვის“. გავიხსენოთ, რომ სწორედ ამ მიზეზთა გამო „მოაბეზრეს თავი მამაკაცებმა“ სხვა სოფლებს.

სხვათა შორის, ქალები პროვინციებში სულაც არ არიან განებივრებულნი იოლი ცხოვრებით და აუტანელი შრომა მათთვის ჩვეული ამბავია. სომხეთის სოფლებში რესპუბლიკის მოსახლეობის 35% ცხოვრობს, ამასთან ღარიბთა ნახევარი ქვეყანაში – სოფლის მაცხოვრებლებია, ხოლო მამაკაცთა მიგრაციას თუ გავითვალისწინებთ, მათი

უმრავლესობა ქალია. სოფლის ინფრასტრუქტურის რღვევამ გარდამავალ პერიოდში საყოფაცხოვრებო პირობების გაუარესება გამოიწვია, რაც განსაკუთრებით ქალებს დაეტყო, რადგან მათი შრომითი და ემოციური დატვირთვა გაიზარდა. სინამდვილეში ცხოვრებისა და შრომის პირობები პროვინციაში უმძიმესად რჩება. სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მათ ვერ პირობებში მომუშავეთა 31% ქალები შეადგენენ, 24% მუშაობს ისეთ პირობებში, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ შრომითი უსაფრთხოების მოთხოვნებს, ქალთა 50%-ზე მეტი მძიმე ფიზიკურ სამუშაოს ასრულებს. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დიდი ნაწილი ხომ მცირე მექანიზაციის უქონლობისა და მომსახურების სიძვირის გამო ქალების მიერ ხელით სრულდება. სიღარიბის ფემინიზაციის პირობებში ქალი პროვინციაში გადატვირთულია არა მარტო სახლში და საწარმოში მუშაობით, არამედ ხშირად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას კიდევაც ასალებს.

ერევანში ხშირად ნახავთ ქალებს, რომლებიც რძეს და რძის პროდუქტებს დაატარებენ. ერთ-ერთ მათგანს – სოფოს – ვიცნობ, რომლის ბუდიც ტიპურია. მას ქმარი და ორი ვაჟი ჰყავს. მათ მეგობრული და მყარი ოჯახი აქვთ. როგორც სოფო ყვება, ქმარი კარგი ჰყავს, არასოდეს უცემია იგი, სანამ ახალგაზრდა იყო, ბევრს მუშაობდა და მთელი შემოსავალი სახლში მოჰქონდა, არ სვამდა, არც თანასოფლელებით სხვა ქალებს ახარჯავდა. მაგრამ ახლა ჯანმრთელობა გაუუარესდა და მთელი ტვირთი სოფოს დააწვა. სოფო გამოტყდა, რომ ხშირად მშვიერი რჩება, რათა შვილებს აჭამოს. მისი უფროსი ვაჟი ხომ უფრო შეძლებულს ემსახურება და კარგი კვება სჭირდება, რადგან მძიმე ფიზიკურ შრომას ეწევა. უმცროსი კი მოსწავლეა, გარდამავალ ასაკშია და სრულფასოვანი კვება სჭირდება. ოჯახის წევრები ვერც კი ხვდებიან, რომ დედა ხშირად მშვიერი რჩება, იგი ყოველნაირად ცდილობს ამის დაფარვას. მაგრამ ბოლო დროს ხშირად ეხვევა თავბრუ და ეცემა წნევა. სოფოს კვირაში ორჯერ ჩამოაქვს ერევანში ავტობუსით რძითა და მარცხით სავსე ორი უმძიმესი ჩანთა. იგი 36-40 კგ ტვირთს დაათრევს ერევანში ფეხით მრავალი კილომეტრის მანძილზე, სანამ სულ არ გაყიდოს. მას გამუდმებით ტკივა სერხემალი და ფეხები, მაგრამ ითმენს, რადგან ნაშოვნი ფული ოჯახს ძალიან სჭირდება.

და ასეთი ქალები სოფელში ბევრია. მაშინ რატომ უშვებს ისეთ ცხოვრებას, როგორც სოფოს აქვს, სომეხი მამაკაცის მენტალიტეტი და ბევრ რამეს ვერ აშინებს (ზიგჯერ ეს ძალზე მოსახერხებელია). მაინც რატომ არის მისაღები, რომ ცოლები, დედები, დები საათობით იდგნენ ტრასაზე მცხუნვარე მზის ქვეშ რამდენიმე კილოგრამი ხილის გასაყიდად, ივაჭრონ სხვადასხვა ნივთებით, ათრიონ მძიმე ვედრები? აი, მმართველობა კი სომეხი ქალისათვის – შეუფერებელია, ამისი არც ძალა შესწევთ და ღირსებისთვისაც სარისკოა.

...და საერთოდ – არ არის ეს ქალის საქმე.

ალიონა პანკრატოვა
რუსეთი

რჩევები ლამაზყდიან გამოცემებს ყოფილი მკითხველისაგან გეთაყვა, ნუ მომახვევთ თავზე არასრულფასოვნების კომპლექსს და ნუ მაქცევთ ზომბად!

მე პროვინციული კანტორის ქალი ვარ. 36 წლისა ვარ და ქალიშვილს მარტო ვზრდი, ძლიერი მამაკაცური მხრის გარეშე; რაღაც ძალიან სუსტი მხრები მხვდება მუდამ. მაგრამ ამასთან – ძალიან მომთხოვნი. ჩემი ქალიშვილის მამა იმიტომ მივატოვე, რომ მას ჭურჭელი და სამზარეულო ქალის მეორად სქესობრივ დანამატებად მიაჩნდა. მათვე მიაკუთვნებდა ბავშვის მოვლას, საჭმლის მომზადებას, რეცხვას, ტანსაცმლის მოვლას და უნიტაზის გაწმენდას. ერთი სიტყვით, მან მეკეთრად გაყო ჩემსა, ქალს, და მას – მამაკაცს შორის უფლება-მოვალეობები. მას – უფლებები, მე – მოვალეობები. როცა ანკა ნ თვის იყო, მივატოვე. ძნელია ცხოვრება, როცა ირგვლივ თანამოაზრეები არა გყავს. ვიფიქრე, ჩემი ფიქრების გამოძახილს ქალთა ჟურნალებში ვიპოვი-მეთქი. გადავჩხრიკე ათამდე ჩვენს ქალაქში არსებული. მერედა რა? უმრავლესობა ქალს მოხმარების საგნად განიხილავს, რომლის დანიშნულება მამაკაცისათვის კეთილდღეობის შექმნა და სიამოვნების მინიჭებაა. მათში უამრავი რჩევაა: როგორ მოუვაროთ მეურნეობას, როგორ მოვხიბლოთ მამაკაცი და გამოვიბათ კაბაზე, როგორ მოვამზადოთ გემრიელი კერძი და როგორ შევზღუდოთ საკუთარი თავი კვებაში... მეორე კატეგორია „კოსმოპოლიტენის“ ტიპის ჟურნალებია. კარგი ჟურნალია, კარგად წერენ გოგონები. მაგრამ! იგი გათვლილია მეგაპოლისის ახალგაზრდა, წარმატებულ, ლამაზ მაცხოვრებლებზე. ჩემი სიმართლის ნათელი დადსტურებაა მოდის გვერდები. ასეთს ვერ ჩაიცვამ 30 წლის ზევით, თუ პროვინციულ ქალაქში ცხოვრობ, ჩვეულებრივ სამსახურში მუშაობ (ჩვენ მოსკოვური ხელფასები არა გვაქვს). და კიდევ, მკერდი შეიძლება უფრო დიდი მქონოდა, სიმაღლე – მეტი, წელი კი უფრო ვიწრო. მაგრამ მე არ მინდა არასრულფასოვნების კომპლექსი მქონდეს, ეს ჟურნალები კი სწორედ ამას მახვევენ თავს! და გამოვიწერე „კრესტიანკა“. პირდაპირ შოკში ჩავვარდი! ერთ ნომერში (გაერთიანებულში – ივლისი-აგვისტო) – 7 ინტერვიუა. 4 – „ვარსკვლავებთან“, 1 – პუშკინის სახელობის მუზეუმის დირექტორთან (მართალია, „ვარსკვლავს“ ვერ დაარქმევ, მაგრამ უბრალო მოკვდავსაც ვერ გაუტოლებ და თანაც, მოსკოველი არა, მაგრამ მეორე დედაქალაქის – პეტერბურგის მცხოვრებთან), 1 – რომელიღაც (რა თქმა უნდა, მოსკოვის) პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილესთან. კიდევ ერთი – ფიტნესის ტოპ-მწვრთნელთან ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ. როგორც ჩანს, ჟურნალის დასახელების გასამართლებლად მასალა მეფერიველების ფერმაზე. კიდევ უზარმაზარი, მოსაწყენი ტექსტი, ვიღაც მამაკაცის მიერ დაწერილი, რომელიც თავს, ალბათ, დიდებულ ავტორად თვლის – თვითნახადი არყის გამოხდისას სახანძრო უსაფრთხოების დაცვის შესახებ. ეს რა, ჟურნალის მკითხველთათვის განსაკუთრებით აქტუალური თემა? თუ ისევ – მისი დასახელების გასამართლებლად? რედაქტორატის წარმოდგენით, რა, ყველა პროვინციული ქალი არყის გამოხდითა დაკავებული? მოკლედ, „კრესტიანკას“ ამბავი მორჩა, მეტს აღარ გამოვიწერ.

ვიღაცამ ფემინისტური ჟურნალი „პრობრაჟენიე“ მირჩია. მოვიძიე ინტერნეტში, იგი თითქოს ფლოსიფიური ხასიათის ჟურნალია, მასში სამეცნიერო სტატიებს ბეჭდავენ. ანუ, ისევ ჩემთვის, უბრალო რუსი, კანტორის ქალისთვის განკუთვნილი არ არის. მაინც რა მინდა მე? მინდა ისეთი ქალების შესახებ წავიკითხო, როგორც მე თვითონ ვარ. კი ბატონო, წარმატებულის, მაგრამ როცა ეს წარმატება ჩემნაირ პირობებშია მიღწეული (არა მოსკოვში და არა პიტერში). ან არც ძალიან წარმატებულის, მაგრამ რომლებიც თავიანთი პრობლემების გადაჭრის გზებს ეძებენ და პოულობენ. დაე, მდიდარი გმირების და იმ გმირების რიცხვი, რომლებიც საშუალო ქალურ ხელფასზე ცხოვრობენ (რას იზამ, იგი მამაკაცის ხელფასისაგან განსხვავდება) საზოგადოებაში რეალურად არსებული თანაფარდობის პროპორციული იყოს. მინდა, რომ იქ მამაკაცებისთვისაც იყოს სტატიები: ისინიც ხომ უნდა დავარწმუნოთ, რომ უნიტაზის წმენდა და სადილის მომზადება – ეს ქალის დანიშნულება როდია. მინდა მასწავლებელ, ექიმ, ბუღალტერ, რაიონული გაზეთების ჟურნალისტ, იურისტ, მზარეულ ქალებზე წავიკითხო. მოდის შესახებაც მინდა! მაგრამ სხვადასხვა ასაკისა და გარეგნობის. არც რეცეპტების საწინააღმდეგო მაქვს რაიმე, მაგრამ ისეთების, რომელთათვისაც ყველაფერი შეიძლება უახლოეს მალაზიაში იყიდო. პოლემიკაც იყოს, მაგრამ არა იმაზე, როგორ გამოვიჭიროთ კაცი... განა ბევრი მინდა? კარგი იქნებოდა, ცენტრალურ ჟურნალებს უბრალო ჭეშმარიტება გაეგოთ: ხალხი მარტო დედაქალაქებში როდი ცხოვრობს.



დედაქალაქები ცდილობენ ღობით გამოეყონ თავის პროვინციებს. ამასთან გულუბრყვილოდ სწამთ, რომ ყველაფერი მოწინავე და გონიერი – ღობის შიგნითაა... ფოტო დიანა პეტრიაშვილისა

georgia kyrgyzstan armenia uzbekistan russua azerbaijan estonia kazakhstan tajikistan georgia kyrgyzstan armenia uzbekistan russua azerbaijan estonia

ალმა ბექტურგანოვა-ანდერსენი
დანია

ადამიანი გლობალურ სამყაროში

ევროპაზე გათხოვება

დანიურ ყვითელ გამოცემებს უყვართ რუსი ცოლების შემოსევით დაშინება

ამასთან, მაგალითად, ტაისელების, (რომლებიც სტატისტიკის მიხედვით, მეტნი არიან) მათ, რატომღაც, არ ეშინიათ. მარტო „რუსი ცოლები“ ატყავებენ, აშიშვლებენ და ატოვებენ, მათი აზრით, დანიელ ქმრებს. თუმცა არსებული რეალობა ამტკიცებს, რომ სწორედ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ჩამოსული ცოლები დგებიან უფრო სწრაფად ფეხზე, სწავლობენ ენას და სამუშაო ბაზარზე კვალიფიცირებული სპეციალისტის ნიშნით გამოდიან. გაყრისას კი ცდილობენ საერთო შვილზე თვითონ იზრუნონ და რაც შეიძლება იშვიათად შეაწუხონ მამები და სახელმწიფო ორგანოები.

შეშინებაში არც რუსული გამოცემები ჩამორჩებიან, რომლებიც საერთაშორისო ქორწინებების საშინელებებს ყვებიან, თუ როგორი უუფლებონი არიან ფრანგ/ამერიკელ/გერმანელ მამაკაცზე გათხოვილი ქალები. თუ დანიური ყვითელი გამოცემები რუსოფობიის ვირუსით არიან დასნებოვნებულნი, რუსული გამოცემები კვლავ ძველ (საბჭოთა) კანონის არცოდნისა და კანონის უპატივცემულობის ტრადიციას ასახავენ. დასავლეთში მოხვედრილი ჩვენებური უმეტესწილად პირველი შემთხვევისთანავე ცდილობს გვერდი აუაროს კანონს, რომელიც, მისი მტკიცე რწმენით, იმისათვის იქმნება, რომ მოქალაქეებს ცხოვრება გაურთულოს. მაგრამ ჭეშმარიტება ისაა, რომ აქ კანონი უბრალო მოქალაქეების ინტერესების დაცვის სადარაჯოზე დგას და თუ მას დაიცავ, ქვეყნიდან გაძევების და საკუთარი შვილის ჩამორთმევის საფრთხე არ წარმოიშობა. სწორედ ამით აშინებენ უცხოელებზე გათხოვების მსურველ ქალებს რუსული გამოცემები.

დანიელები (და საერთოდ, ევროპელები) ყოველწლიურად სულ უფრო ხშირად მიმართავენ საერთაშორისო ქორწინებების ბიუროებსა და ინტერნეტ-საიტებს მეორე ნახევრის ძიებაში. ამას თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს. როგორც პატარა „მეტროპოლიას“, დანიას „ახალი სისხლის“ გადასხმა ესაჭიროება. პატარა ქვეყანაში ბევრი უკვე ერთმანეთს ენათესავება, რაც ერის ჯანმრთელობას ნამდვილად არ აუმჯობესებს. განხილვილი საზღვრების პირობებში კი მეორე ნახევრის მოძებნა ცხრა მთას იქით სიძნელეს არ წარმოადგენს. და თუ ამ დროს ყველა კანონი დაცულია – ორივე ნახევარი თავს უსაფრთხოდ იგრძნობს.

ყოველთვის, როცა მორიგ სულისშემძვრელ ისტორიას წავიკითხავ იმის შესახებ, თუ როგორ გააძევეს ვიღაც

ქვეყნიდან, როგორ წაართვეს შვილი, ან როგორ გააკოტრა ვიღაც ჩამოსულმა ცოლმა, მე ჩემნიარების სახეებს ვაკვირდები. რომელ მათგანს შეუძლია ასეთი მზაკვრობის ჩადენა? არც ერთ ჩვენგანს არა აქვს მარტივი ისტორია. ყველა ჩვენგანმა ცოლ-ქმრულ ცხოვრებას ბევრი რამ შესწირა მსხვერპლად. ჯერ მარტო ის, რომ მშობლიურ ენაზე ვერ ლაპარაკობ, რად ღირს! ან მშობლების საფლავები, სადღაც შორს, სამშობლოში დარჩენილი. და კიდევ, ვინ იცის!

მაინც რა უბიძგებს საწყალ ქალებს „ევროპაზე გათხოვებისკენ“? მე ეკონომიურ სტიმულზე არ ვსაუბრობ. უცხოელს რომ გაჰყვე ცოლად, გარკვეული სტატუსი და საშუალებები უნდა გქონდეს. დანიაში ჩემი 3 წლის ცხოვრების მანძილზე 200-ზე მეტ „რუს ცოლს“ შევხვდი, მაგრამ არც ერთ – მწველავს, პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულს ან უბრალო გოგოს აულიდან. როგორც წესი, ეს 30-40 წლის ქალები არიან, უმაღლესი განათლებით, ბევრს შვილი ჰყავს პირველი ქორწინებიდან. შეხვედრილებს შორის ბევრია მოსკოვიდან, სანკტ-



დანიელ მამებს არა მარტო ფეხბურთსა და პოლიტიკაზე უყვართ საუბარი, არამედ პატარებზეც

ავტორის ფოტო

პეტერბურგიდან, რომელთა მოსახლეობა შედარებითაა მთელი დანიის მოსახლეობასთან. (ერთი ნაცნობი მოსკოველი, რომელიც ქმართან ერთად დანიის ჩრდილოეთში ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობს, ყვე-ბოდა, როგორ ტიროდა ფანჯრის იქით გამეფებული სიჩუმის გამო, რადგან ეგონა, რომ სასაფლაოზე ცხოვრობდა).

აქ ქალები უბრალო ადამიანური ბედნიერებისათვის ჩამოდიან. ვილაცას რომ უყვარდეს, ჭირდებოდეს და – რაც ყველა ჩვენგანისათვის მოულოდნელია – ჩათვალონ ზრუნვის ობიექტად და არა სუბიექტად. აქ ჩამოსვლის შემდეგ ჩვენი ქალები თავიდან იბნევიან, სულ შვილებს დასტრიალებენ ან ქმრებს ასუქებენ. პირველი სტრესი სწორედ იმისგან ჩნდება, რომ აქ ეს არაფერი საჭირო არ არის. კომფორტულად უნდა იცხოვრო, მაგრამ არ უნდა ეცადო განსაკუთრებული კომფორტი შეუქმნა სხვას. ის, სხვა, თავად იზრუნებს საკუთარ თავზე. ეს პირველი წესია, რომელსაც „ჩვენი ქალი“ უნდა დაეუფლოს.

ყურადღება მიაქციეთ საქორწინო განცხადებებს „საქმ-როები ევროპიდან“. მათში არასდროსაა მითითებული, რომ მარტოხელა კაცი ეძებს მარტოხელა ქალს. საქმ-როების უმეტესობა მეტროპოლიებიდან ნაცოლევია, ჰყავს შვილები და აზრადაც არ მოსდის ეძებოს ქალი 30, 40 წელზე ზევით და უშვილო. ისინი ბავშვებს ძალიან კარგად ეპყრობიან და პირველი შესაძლებლობისთანავე შვილად იყვანენ. თუმცა, ეს ნაბიჯი მათ ვალდებულებებს უმატებს. რომელიც გან-ქორწინების შემდეგაც არ ქრება.

მასსოვს ჩემი გრძნობა, როცა დანიელმა კონსულ-ტანტმა გამაფრთხილა, რომ გაყრის შემთხვევაში ჩემს მეუღლეს, რომელმაც ჩემი ვაჟი იშვილა, ისეთივე უფლებები ექნებოდა მასზე, როგორც მე. გულზე სევდა შემომაწვა: ამდენ ხანს იგი მარტო ჩემი იყო და ახლა უცებ ვილაც კიდევ იღებს უფლებას მასზე?

ვერ ამიხსნია, რატომ ეპყრობიან დანიელები თავისსა და სხვის შვილებსაც ასე კარგად, რატომ ატარებენ მათთან ამდენ დროს, არიან მომთმენნი და ტოლერან-ტულები. მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი: დანიელი ქმრე-ბის გვერდით „რუს ცოლებსაც“ უფრო მშვიდი ცხოვრება აქვთ.

სხვათა შორის, ტაჯიკეთში უცხოელებზე გათხოვება მოდაშია

გაზეთი „ფარაჟი“ წერს, რომ ტაჯიკ ქალბატონებს შორის მოდაში შემოვიდა უცხოელზე ქორწინება.

ქალაქ ღუმანბეს მმანის ბიუროს მონაცემებით, მარტო 2006 წელს 94 ტაჯიკი ქალი დაქორწინდა უცხოელზე. ამ საქმროებს შორის ჭარბობენ ამერიკელები, ჩინელები, ირანელები, ავღანელები, პაკ-ისტანელები და გერმანელები.

ზოგიერთი ექსპერტი ამ მოვლენის მიზეზად იმას თვლის, რომ ტაჯიკეთში ქალი მეტია, ვიდრე მამაკაცი – 0,9%-ით. გარდა ამისა, ამაზე უცხოეთში სამუშაოდ მამაკაცთა მასობრივი მიგრაციაც მოქმედებს. ზოგიერთი ტაჯიკი თვლის, რომ თავისიანებს ცოლად ვერ გაყვებიან იმიტომ, რომ ახალგაზრდა ვაჟები რუსეთში სამუშაოს საძებნელად წასვლის შემდეგ იქ რუს ქალებზე ქორწინდებიან. ექსპერტებს ასევე მიაჩნიათ, რომ ტაჯიკები უცხოელებზე მატერიალური კეთილდღეობისათვის თხოვდებიან. საზოგადოება საერთაშორისო ქორწინებებს სხვადასხვაგვარად უდგება.. ბევრს უნდა, ქალიშვილები ეროვნული ტრადიციების წიაღში რჩებოდნენ, ბევრი კი ამაში ცუდს არაფერს ხედავს.

წყარო: <http://www.regnum.ru/news/799498.html>
მიღებულია www.owl.ru



გამოიჩინო აქტიურობა –
თანამედროვე ტექნოლოგიები ამის
საშუალებას ყველაზე
მოკრძალებულ პოტენციურ
საპატარძლოსაც აძლევენ

ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა

ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა



ლიანა პეტრიაშვილი
საქართველო

ლოთობა

მწკავე ეროვნული დამოკიდებულება

როგორც პრობლემა,
რომელიც არაფრით გვინდა
ვადიაროთ

სოფელში იგი უფრო მწკავედ დგას,
ვიდრე ქალაქში

გ-ს ოჯახის რძლები ვერ იტანენ დასახლება ს-ს. გასამგზავრებლად გამზადებულები ოხრავენ:

– აი, გაიზრდებიან ბავშვები და ჩემი ფეხი არ იქნება იქ. ბავშვები ნელა იზრდებიან და ნებისყოფამოკრებილი რძლები ავარაკზე მისვლილ ერთ თვეს ატარებენ. ყოველ ზაფხულს. იმიტომ, რომ კარგი ჰაერია და თუ ბავშვები კარგად მოიქცევიან, მთელი ზამთარი ანგინა აღარ დაემართებათ. ს. ერთი მიზეზის გამო არ უყვართ : იქ ბევრს სვამენ.

... როცა მთვრალი სტუმრები სიმღერ-სიმღერით დაიშალნენ, მასპინძელი ზურა გამოვიჭირე.

– რა იყო, ისევ შენი დაბადების დღე აღნიშნეთ? – ვეკითხები.

– რას ამბობ, – ეწყინა ზურას. უბრალოდ, წავიქეიფეთ, ლოთები ხომ არა ვართ.

მეორე სართულზე ხმაურით დაიკეტა ფანჯარა, გაღიზიანებით გადაიწია ფარდა და რაღაც ბოროტად იფეთქა შეუქმა.

– ახლა დაიწყება, – ამოიხრა ზურამ.

მეორე დღეს, საღამო ხანს, ზურა მანქანიდან გადმოვიდა. საბარგულიდან ათლიტრიანი ბოცა ამოიღო და ბალახზე დადგა.

– საფერავია, – ამიხსნა მან. – ვანომ ჩამოიტანა. დღეს ჩამოვიდა. ბავშვები თუ ნახო, უთხარი, რომ მწკადებს შევწვავთ. კულტურული ღონისძიება გვაქვს. თვალწინ ზურას ცოლის სახე დამიდგა. ამ დასახლებაში იგი მუდამ დაძაბულია რაღაც ცუდის მოლოდინში. მე შეტევაზე გადავედი:

– მომიხმინე, როგორ შეიძლება ამდენი სმა!

– მეტიც შეიძლება, – თვალი ჩამიკრა ზურამ, – აჰა, გასინჯე, – პირთამდე ავსებული პლასტმასის ჭიქა გამომიწოდა. ჭიქის რბილ კედელს მძიმედ მოყვებოდა ალუბლისფერი ღვინის წვეთი.

საღამოს მწკადებს ვწვავდით და საფერავს ვსვამდით.

– ბავშვებო, ცეცხლს მოშორდით, – კეთილად ბუზღუნებდა თინა, ზურას ცოლი.

იგი ზღაპრულად გალამაზდა ამ საღამოს, ისეთივე ახალგაზრდა და ელვარე გახდა, როგორც თბილისში, სადაც მისი

ქმარი და მამალი მხოლოდ დღესასწაულებზე სვამენ. საფერავი დიდებული აღმოჩნდა და დროებით ქმარს შეარიგა. თინამ უცებ თქვა:

– გინდა, მოხუცი თამაზის შესახებ ვიამბობ?

თურმე, როცა დინჯი მოხუცი თამაზი ახალგაზრდა იყო, ძალიან ჰყვარებია სმა. ამ მავნე ჩვევისგან რომ გაეთავისუფლებინათ, მშობლებმა ამ საკურორტო დასახლების ყველაზე გაბეღულ და მტკიცე გოგონაზე დააქორწინეს. თამაზის ცოლი, ნანული, თავიდან ქმარს ბოიკოტს უცხადებდა – ყოველი დაღვეის შემდეგ არ ატყვევდა, არ ურეცხავდა და არც ეფერებოდა.

მერე სასიხარულო ამბავი გაიგო: მეზობელ რეგიონში, კახეთში, სადაც ყურძენი კიდევ უფრო მეტი იყო, დაწესებულება გაეხსნათ – „ლოთების სანატორიუმი“. ნანულიმ მკლავები დაიკაპიწა და დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად თამაზი სამკურნალოდ გაამწესა.

იქ ზაფხულის თბილ საღამოებში სმას თავდანებებული მამაკაცები მშვიდად ისხდნენ ვაზის ტალავერში, მზით სავსე მტკვნებს შესცქეროდნენ და ალკოჰოლის მავნებლობაზე ლექციებს ისმენდნენ. როგორც ჩანს, იქ ლექციების გარდა რაღაც კიდევ იყო, რადგან თამაზმა საბოლოოდ დაანება სმას თავი. მას ბევრი თავისუფალი დრო და სახლისა და ბაღის მოსავლელად უამრავი შემოქმედებითი იდეა ეწვია. ნანული გაიფურჩქნა. რა თქმა უნდა, თავისი ბედნიერების მიზეზი მეზობლებს გააცნო, რომლებიც ძალიან აღფრთოვანდნენ.

... როცა სანატორიუმის დირექტორის მაგიდაზე მორიგი განცხადება გაჩნდა ს-დან, იგი უცებ გაბრაზდა:

– ისევ თიანეთის რაიონია?

თავი დაუქნიეს.

– უთხარით, თავისი დასახლება შემოღობონ და სანატორიუმი ადგოვზე მოაწყონ. ჩვენ სპეციალისტებს გავუვზავნით. მაგრამ სპეციალისტები არ გამოუვზავნიან. კახეთშიც, რატომღაც, ამ დაწესებულებამ ფუნქციონირება შეწყვიტა. ასე რომ, დღეს ჩვენთან ამ საკითხზე – მარტო ნარკოლოგის კაბინეტი. და ისიც – მხოლოდ ქალაქებში. სოფლებში კი განაგრძობენ ლოთობას და გულუბრყვილოდ სჯერათ, რომ „ნატურალური პროდუქტი“ მავნე არ არის.

კაკაზის საფოსტო ყუთი

ყველაფერი თავიდან დავიწყით?

ამას წინათ ტაშკენტში ვიყავი ქორწილში, სადაც ყველა ქალი – 8-დან 90 წლამდე – თავიდან ფეხებამდე ჩადრში იყო გახვეული. იქ ძველი ქალაქის მახალიდან 150-მდე ქალი იყო. რაკი მე თავზე არაფერი მეხურა და კაბის სახელოც იდაყვამდე იყო, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს შიშველი ვიყავი. პატარძალი სუფრასთან მარტო იჯდა, სიძის გარეშე. სიძე მამაკაცებთან ერთად მეორე ოთახში იჯდა და იქაც ლოცვები და რჩევა-დარიგებები იყო. არც სმა, არც ცეკვა და მხიარული მუსიკა... სიმღერები მხოლოდ ყორანის თემებზე ისმოდა ლოცვებსა და პატარძლითვის განკუთვნილ რჩევა-დარიგებებთან ერთად, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო მეუღლის სახლში. მითხრეს, რომ ასეთი ქორწილები ახლა მრავალადაა... ჩემმა მცდელობამ, დამერწმუნებინა ქალები, რომ ასეთი ქორწილი – ანაქრონიზმია, შედეგი არ გამოიღო. დღემდე შოკში ვარ ამ ქორწილისგან – არასამთავრობოების მთელი 10-წლიანი მუშაობა წყალმა წაიღო! ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყით... საწყენია!

ზულფია, ტაშკენტი

ფოტო დიანა პეტრიაშვილისა




კიდევაც ვიმღერებთ და კიდევაც ვიცეკვებთ

ამას წინათ ჩვენთან კონფერენცია ჩატარდა ტრეფიკინგის თემაზე. სტუმრები არაბული ქვეყნებიდანაც იყვნენ და სალამოს ჩვენებმა მათ პატივსაცემად მუცლის ცეკვა მოაწყვეს ნახევრადშიშველი ბელორუსი ლამაზმანების შესრულებით. ამბობენ, კატარელი მონაწილეები აღტაცებით იღებდნენ ყველაფერს ვიდეოზე კომენტარებით: „რა სასიამოვნოა, როცა ტრეფიკინგის საკითხებზე კონფერენციის მონაწილეებისათვის მისი პოტენციური მსხვერპლები ცეკვავენ“. მაინც, რა შეიძლება ვუწოდოთ ამ შოუს ორგანიზატორებს? კაკაზის იენისის გამოშვება გამახსენდა. სადაც საუბარი იყო ანალოგიურ გართობებზე ჟურნალისტთა ფორუმის მონაწილეთათვის... ვფიქრობ, ეს უიმედო, ღრმად ჩამარხული პროვინციალური აზროვნების შედეგია, ანუ თქვენი ფულისთვის როგორც გინდათ, ისე ვიმღერებთ და ვიცეკვებთ. გაგოცებთ, როგორც შევძლებთ. ეს ბევრ პროგრამაში მქლავანდება. რა თქმა უნდა, ნორმალური ადამიანები აღშფოთებულნი იყვნენ, მაგრამ ეს არ უშლიდა მათ ხელს ესვით არაფი და მიეღოთ სიამოვნება.

მარია, მინსკი

კარგია მაშა, ჩვენი რომ იყოს

წინა კვირას მშობლიურ ყიშლაყში ჩავედი მწვერების ბრძოლის (ეს ჩვენში მამაკაცების გართობის სახეობაა) გადასაღებად. აქ მითხრეს, რომ ჩემი თანაკლასელი მაშა პოპოვა ვაჟს აქორწინებს. და რომ იქ მისი უზბეკი ქმრის პირველი ცოლიც იქნება. იგი ყველა თავის ცოლთან ერთად ცხოვრობს, მაშა რიგით მეორეა (მაგრამ არა ბოლო). კაცი არც ისე მდიდარია, რომ ყველა ცოლი ერთ სახლში



ფოტო უმიდა ახმედოვასი

აცხოვროს. ასე რომ, ქორწილი – მაშას სახლშია. მაგრამ, როგორც ჩანს, იქ ყველა მოიყრის თავს. მანსოვს, ოდესღაც მაშა ძალიან ცუდად საუბრობდა უზბეკურად, ჩვენს ბავშვობაში მას სკოლის დირექციისაგან მოკლე კაბების გამოც ხვდებოდა. და აი – მაშაც! ძლივს ვიცანი. ერთ დროს ცხვირპაჭუა სუსტი მაშა ახლა უფრო მეტად ჰკავდა ადგილობრივს, ვიდრე მე. შავთმიანი, მსუქანი. მხოლოდ სახის სლაუური წყობის მიხედვით თუ მიხვდებოდი, რომ იგი მთლად უზბეკი არ იყო. სარძლო თავს უხრის მას, იგი კოცნის (ჩემი თხოვნით, ფოტოსათვის)... მე, როგორც ყოველთვის, რუსულად გაუბტი საუბარი, იგი კი უზბეკურად მპასუხობს, ცოტა უცნაურია. და ისეთი გრძობა დამეუფლა, თითქოს მას რცხვენოდა, რომ მე თავისიანებს შორის უცხო ენაზე ველაპარაკებოდი. – ჰო, მაშა, – მრავალმნიშვნელოვნად ჩავილაპარაკე მე, – მიყვარს ყველაფრის გადაღება, მაგრამ ჩემს შვილებს, ალბათ, ასე არ დავაქორწინებ... მეგობარმა, რა თქმა უნდა, ვერაფერი გაიგო... მისი ქმარი კი, შავი უხეში ტრაქტორისტი, სულ იმეორებდა, რომ ფოტოები არ სჭირდებათ, რომ უკვე გადაუღეს (ეტყობა, შეეშინდა, რომ ფულს მოვთხოვდი). მე დიდხანს ვიციინოდი და ვუთხარი, რომ ჩემი ფოტოები ისე ძვირი იყო, მას მთელი თავისი ფული არ ეყოფოდა, – შენ ხომ, საცოდავს, ამდენი ცოლი და შვილი გყავს-მეთქი... მე მასაც ბავშვობიდან ვიცნობ. არაფერს განსაკუთრებულს არასდროს წარმოადგენდა. ვერაფრით მივხვდი, რით შეაყვარა ჩვენს ქალებს თავი ისე, რომ მაშა მის პირველ, „მთავარ“ ცოლთან კიდევაც მეგობრობს. ჩვენი ქალები მახალიდან მათზე იციანიან, რადგან ამ ტიპის მრავალცოლიანობა ჩვენთანაც იშვიათია. აი მაშა პოპოვამ კი შესძლო. სამწუხაროა, რომ მაინც ვერ მივხვდი – რისთვის დაჭირდა ეს?

უმიდა, პარკენტი, უზბეკეთი

რედაქტორები:

გალინა პეტრიაშვილი (მთავარი რედაქტორი), საქართველო
(+99599 90 11 24, galapet@ip.osgf.ge)
ციცინო ჯულუხიძე (ქართული ვერსიის რედაქტორი), საქართველო
(+99599 92 32 67, cicoju@rambler.ru)
დიანა პეტრიაშვილი (ინგლისური ვერსიის რედაქტორი), საქართველო
(+99599 76 26 21, dianapetriashvili@yahoo.com)

ნომერზე მუშაობდნენ:

ვლადიმერ ხანასი, უკრაინა
ნინო სუხიაშვილი, საქართველო
სვეტლანა ბეისოვა, ყაზახეთი
პოლინა მილორადოვიჩი, საქართველო
ნურყან ტულეგაბილოვა, ყირგიზეთი
გალია იბრაგიმოვა, უზბეკეთი
ციცინო ჯულუხიძე, საქართველო
ლილიტ ზაქარიანი, სომხეთი
ალიონა პანკრატოვა, რუსეთი
ალმა ბექტურგანოვა-ანდერსენი, დანია
დიანა პეტრიაშვილი, საქართველო

ფოტო:

დიანა პეტრიაშვილი, საქართველო
უმიდა ახმედოვა, უზბეკეთი
პოლინა მილორადოვიჩი, საქართველო
ალმა ბექტურგანოვა-ანდერსენი, დანია

დიზაინი და დაკაბადონება:

ასოციაცია „გენდერმედიაკავკასიას“ (საქართველო)
დიზაინ-ჯგუფი

თარგმნა:

ციცინო ჯულუხიძე

ჟურნალ „კავკასიას“ ქართული ვერსია გამოდის
ასოციაცია „გენდერმედიაკავკასიას“ საკუთარი რესურსებით

**საერთაშორისო კოალიცია
კავკასია**

რედაქცია არ არის წინააღმდეგი ჟურნალის გავრცელებისა ან ცალკეული ტექსტებისა და ილუსტრაციების გამოყენებისა – მხოლოდ გამოცემისა და ავტორის აუცილებელი მითითების პირობით



ჟურნალისტთა ასოციაცია

გენდერმედიაკავკასია

www.gmc.ge

<http://spaces.msn.com/GMC-Georgia/>

საქართველო, 0103, თბილისი, იორის ქ.№17

ტელ./ფაქსი (995 32) 27 70 33; (995 99) 90 11 24